

„დამტკიცებულია“  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/03. 30.01.2019  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.  
ოქმი № 02-03-06/01. 26. 01. 2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

არქეოლოგია

აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი

პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი - ტარიელ ებრალიძე  
ასოცირებული პროფესორი – ნარგიზ სურმანიძე

ხიჭაური 2019

1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება: არქეოლოგია - Archaeology

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

3. სწავლების ენა: ქართული

4. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი.

5. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი:

ტარიელ ებრალიძე, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი.  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ტელ: 595 50 73 74. Email: [tariel\\_ebro@mail.ru](mailto:tariel_ebro@mail.ru)

ნარგიზ სურმანიძე, წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი.  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ტელ: 577 24 24 35. Email: [surmanidze.nargiz@mail.ru](mailto:surmanidze.nargiz@mail.ru)

6. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებით:

სამაგისტრო პროგრამის საშუალებით მაგისტრის მომზადების ნორმატიული ვადაა 2 წელი. აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი, აქედან სასწავლო კომპონენტს 90 ECTS კრედიტი, ხოლო 30 ECTS კრედიტი დაეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

7. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით.
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდა/ გამოცდები.

8. პროგრამის აქტუალურობა და მიზანი:

საქართველოში არქეოლოგიური მეცნიერება ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის საგანი იყო. საქართველო არქეოლოგიური ძეგლებით უაღრესად მდიდარი ქვეყანაა. ყოველი არქეოლოგიური აღმოჩენა ჩასვენებული მზის ხელახლა ამოზრწყინებას ჰგავს. იგი შუქს ჰფენს ბნელით მოცულ შორეულ წარსულს. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრები არქეოლოგიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. მათ უნდა მიიღონ არა მარტო თეორიული განათლება, არამედ პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები, რომელთაც შეეძლებათ არქეოლოგიურ ექსპედიციებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთში) მონაწილეობის მიღება და ძეგლის შესწავლა - გათხრა, ფიქსაცია, მოპოვებული მასალის მოწესრიგება, პუბლიკაციისათვის მომზადება; სამეცნიერო ნაშრომების შექმნა; კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მენეჯმენტი. გააცნოს მსოფლიოში უძველესი საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობა. მათ შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორციელების, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციის გზით.

შესაბამისად სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს შეისწავლოს და თავად გაანალიზოს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები არქეოლოგიაში. მონაწილეობა მიიღოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამებში, ასევე კულტურული ტურიზმის სფეროში და სხვა.

მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მაგისტრანტი მოამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მეცნიერული სიახლის შემცველი იქნება.

## **9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების აღწერა.**

### **9.1. სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი).**

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტს დამუშავებული ექნება დარგში არსებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, დაუფლებული იქნება კვლევის უნარ-ჩვევებს, ექნება ორიგინალური სამეცნიერო ძიების ჩვევები, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მას შესაძლებლობა ექნება მიღებული ცოდნა გამოიყენოს არქეოლოგიის მიმართულელებით ახალი სამეცნიერო პრობლემების დასასმელად და ორიგინალური გზით გადასაჭრელად.

ასევე მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მაგისტრანტი დაეუფლება პედაგოგის უნარ-ჩვევებსა და მიღებული ცოდნისა თუ საკუთარი კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით წარდგენის უნარს; სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ იგი იქნება აკადემიური დონის სპეციალისტი. კერძოდ, არქეოლოგიის მაგისტრი შეძლებს:

- იკვლიოს არქეოლოგიის ცალკეული საკითხები;
- მოახდინოს ძეგლის ან ძეგლთა ჯგუფის მიმართ ჩატარებული კულტურული მენეჯმენტის შეფასება;
- დაწეროს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ნაშრომები;
- წარმატებით წარადგინოს თავისი ცოდნა საზოგადოების წინაშე.
- მოემზადოს სწავლების შემდეგი საფეხურისათვის (დოქტორანტურა).

#### **9.1.1. სპეციალობის საგნები:**

სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი ვარიანტი ითვალისწინებს, რომ მაგისტრანტმა საფუძვლიანად შეისწავლოს:

#### **სავალდებულო საგნები:**

1. არქეოლოგიის საფუძვლები;
2. საქართველოს არქეოლოგია;
3. საველე არქეოლოგია;
4. ძველი ბერძნული ენა;
5. ძველი ქართული ენა;
6. საქართველოს ეკლესიის ისტორია;
7. ბიბლიური არქეოლოგია;
8. კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი;
9. უცხო ენა (ინგლისური).
10. კლასიკური არქეოლოგია;
11. შუა საუკუნეების არქეოლოგია;
12. ქართული ეპიგრაფიკა;
13. საქართველოს არქიტექტურის ისტორია;

#### **არჩევითი საგნები:**

14. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები;
15. ნუმისმატიკა;
16. გლიპტიკა;
17. საარქივო-სამუზეუმო საქმე

დანართი 1

სასწავლო გეგმა												
#	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება					კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით			
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	შეალოდეური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი
1	2	3	4	5	8	9	10	11	12	13	14	15
	<b>სასწავლო კომპონენტები</b>											
1	არქეოლოგიის საფუძვლები	5	125	15	14	2	4	90	5			
2	საქართველოს არქეოლოგია - 1	5	125	15	13	2	5	90		5		
3	საქართველოს არქეოლოგია - 2	5	125	15	13	2	5	90			5	
4	საველე არქეოლოგია	5	125	15	13	2	5	90			5	
5	ძველი ბერძნული ენა	5	125	14	15	1	5	90		5		
6	ძველი ქართული ენა	5	125	15	15	2	3	90	5			
7	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	125	14	14	2	5	90		5		
8	ბიბლიური არქეოლოგია	5	125	15	13	2	5	90	5			
9	კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი	5	125	15	11	4	5	90			5	
10	ინგლისური ენა - 1	5	125		27	1	2	95	5			
11	ინგლისური ენა - 2	5	125		27	1	2	95		5		
12	კლასიკური არქეოლოგია	5	125	15	13	2	5	90	5			
13	შუა საუკუნეების არქეოლოგია	5	125	15	13	2	5	90			5	
14	ქართული ეპიგრაფიკა	5	125	15	13	2	5	90		5		
15	საქართველოს არქიტექტურის ისტორია	5	125	13	14	1	2	95			5	
	<b>არჩევითი საგნები</b>	<b>10</b>	<b>250</b>	<b>30</b>	<b>22</b>	<b>8</b>	<b>10</b>	<b>180</b>	<b>5</b>	<b>5</b>		
16	აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები	5	125	15	14	2	4	90				
17	ნუმისმატიკა	5	125	30	12	2	4	77				
18	გლიპტიკა	5	125	15	13	2	5	90				
19	საარქეო-სამუზეუმო საქმე	5	125	28	13	1	3	80				
	<b>სასწავლო პრაქტიკა</b>	<b>5</b>	<b>125</b>								<b>5</b>	
	<b>სამაგისტრო ნაშრომი</b>	<b>30</b>										<b>30</b>
	<b>სულ</b>	<b>120</b>							<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>

## 18. სწავლების მეთოდები:

მაგისტრატურაში სწავლება წარმართება სხვადასხვა მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების კომბინირებით, კერძოდ ლექციების, სემინარების, კოლოკვიუმების, პრეზენტაციათა და სხვ. გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სწავლის შემდეგ მეთოდებს:

**წიგნზე მუშაობის მეთოდი** - ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება, მაგისტრანტმა შეიძინოს სპეციალური ლიტერატურის ანალიზისათვის საჭირო ცოდნა. ეს გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა ნაშრომის ძირითადი მიზნის განსაზღვრას ( მაგ. დაწერილია ნაშრომი კონკრეტული საკითხის კვლევის, თუ მასალის პუბლიკაციის მიზნით); არის თუ არა მასში მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრობლემა; რამდენად სრულად არის შეგროვებული პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო წყაროები და რამდენად სწორად არიან ისინი წარმოდგენილი; არიან თუ არა ეს წყაროები სათანადოდ შესწავლილი; რამდენად ლოგიკურად არის გაკეთებული დასკვნები.

**დისკუსია/დებატები**- ინტერაქტიური სწავლების ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი უფროსებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის და საბუთების უნარს.

**ჯგუფური მუშაობა**- ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**დემონსტრირების მეთოდი** - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგიის შესასწავლად, ვინაიდან არქეოლოგიური წყაროს აღქმა უფრო ვიზუალური დაკვირვების შედეგად არის შესაძლებელი. სწავლისას განხორციელდება მასალის შესწავლა, როგორც უშუალო დაკვირვების გზით - ველზე, მუზეუმების ექსპოზიციებსა და ფონდებში, ასევე ვიდეო საშუალებების გამოყენებით.

## სამეცნიერო კომპონენტი (30 კრედიტი).

**კვლევის საგარეულო თემატიკა.** საკვლევი ველი შემოიფარგლება ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემებით (რომელთა ფარგლებში მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა):

- საქართველოს არქეოლოგიის შესწავლის ისტორიის პერიოდიზაცია;
- კოლხეთის ურთიერთობა გარე სამყაროსთან;
- კოლხური ოქრომჭედლობა;
- სამხედრო საქმე ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით);
- ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა;
- აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები - (ნაქალაქარები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესიები);
- რომაული სამყარო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი და სხვა.

## სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

პრობლემის აქტუალობა; საკითხის კვლევის ისტორია; ემპირიული მასალის მოძიება, დახარისხება და ანალიზი; საკითხის გარშემო სხვა მეცნიერთა შეხედულებების კრიტიკული ანალიზი; მაგისტრანტის დამოუკიდებელი და განმაზოგადებელი მსჯელობა; დასკვნითი დებულებების ჩამოყალიბება.

## სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გეგმა სემესტრების მითითებით და IV სემესტრის კრედიტების განაწილება:

**I სემესტრი:** მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის კონსულტაციები თემის შერჩევის მიზნით;

**II სემესტრი:** სამაგისტრო თემის დამტკიცება;

**III სემესტრი /5 კრედიტი/:** სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და მასალის მოძიება /5 კრედიტი/;

**IV სემესტრი /25 კრედიტი/:** სამაგისტრო თემის დამუშავება /10 კრედიტი/; მოხსენების/მოხსენებების ან პუბლიკაციის /პუბლიკაციების მომზადება /5 კრედიტი/; სამაგისტრო შრომის დაცვა /10 კრედიტი/.

მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის ძირითად დებულებებს საჯაროდ წარადგენს და დაიცავს ისტორიის მიმართულების პროფესორთა სხდომაზე, სადაც მოხდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასება.

## სტუდენტის ცოდნის შესაფასებელი კომპონენტები, შეფასების მეთოდები და ფორმები:

### შესაფასებელი კომპონენტები:

- ლექციაზე აქტიურობის შეფასება;
- დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკულში;
- წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს;

- სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს;
  - ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება ფინალური გამოცდის დროს.
- შეფასების მეთოდები:** ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, წერთი დავალება, ჯგუფში მუშაობასა და პრეზენტაციაზე დაკვირვება.
- შეფასების ფორმები:** შეფასება პრაქტიკულ სამუშაოზე, პრეზენტაციის უნარის შეფასება. შუალედური შეფასება, შემაჯამებელი გამოცდა.

**ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

**სასწავლო კომპონენტის შეფასება:**

სასწავლო კურსებს აფასებს კურსის განმახორციელებელი. შეფასების დოკუმენტები ინახება დეკანატში.

**ცოდნის საბოლოო შეფასების სქემა:**

ქულა	ნიშანი	შეფასება	სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები
91-100	A	ფრიადი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა ზედმიწევნით არის შესრულებული. სტუდენტი ავლენს საგნის ღრმა ცოდნას, ერუდირებულია, გააჩნია გამორჩეული ლოგიკური და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი.
81-90	B	ძალიან კარგი	სასწავლო კურსის ყველა კომპონენტის მოთხოვნა კარგად არის შესრულებული (მცირე ხარვეზებით) სტუდენტი ავლენს საგნის კარგ ცოდნას, ლოგიკურად და დამოუკიდებლად მსჯელობს.
71-80	C	კარგი	სასწავლო კურსის კომპონენტების მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია. სტუდენტი ავლენს საგნის საკმაოდ კარგ ცოდნას, უმნიშვნელო შეცდომებს უშვებს დამოუკიდებლად მსჯელობისას.
61-70	D	დამაკმაყოფილებელი	სასწავლო კურსის მოთხოვნების შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია (მნიშვნელოვანი ხარვეზებით). სტუდენტი ავლენს საგნის საშუალო დონის ცოდნას. შეზღუდულია შესაბამისი თემატიკის ირგვლივ დამოუკიდებელი მსჯელობისას.
51-60	E	საკმარისი	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ავლენს საგნის ცოდნას საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. დამოუკიდებლად მსჯელობისას უშვებს ბევრ უზუსტობებს.
41-50	FX	ვერ ჩააბარა	სასწავლო კურსის მოთხოვნები შესრულებულია მინიმალურად. სტუდენტი ვერ ავლენს საგნის თეორიულ ცოდნას. პრაქტიკულად ვერ მსჯელობს საგნის საკითხების შესახებ.
0-40	Fx	ჩაიჭრა	მიუხედავად გამოცდაზე დაშვებისა (დაგროვილი აქვს არანაკლებ 21 ქულა) სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო პროგრამა.

**მაგისტრანტის სამაგისტო ნაშრომის, ასევე: წაკითხული მოხსენების, დაწერილი სტატიის შესაფასებელი კომპონენტები**

1	თემის აქტუალობის წარმოჩენა
2	პრობლემის წარმოჩენა
3	თემატიკის თეორულ დებულებათა არსში წვდომა
4	ნაშრომის ძირითადი ნაწილის გეგმის სწორად აგება და რეალიზება
5	კვლევის შედეგების შესაბამისობა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან
6	შემდგომის კვლევის მოტივაცია /შემდგომი კვლევის პერსპექტივის წარმოჩენა/
7	კრიტიკული აზროვნება
8	მოხსენების თემასთან კვლევის მეთოდების შესაბამისობა
9	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება

## სამაგისტრო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დახასიათება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესაბამისად

**ცოდნა და გაცნობიერება:** არქეოლოგიის სამაგისტრო კურსის შესწავლის შედეგად -მაგისტრანტები ძირითადად ეუფლებიან არქეოლოგიის საგანს, მის სპეციფიკასა და ადგილს სხვა მეცნიერებათა სისტემაში, როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო; შეისწავლიან არქეოლოგიის ისტორიას, თანამედროვე ვითარებასა და განვითარების პერსპექტივებს; არქეოლოგიური კვლევის პროცესს - მასალის მოგროვებიდან გარდასულ საზოგადოებათა ისტორიის რეკონსტრუქციამდე, კვლევის მეთოდებს (საველე, კამერალური, ლაბორატორიული და კაბინეტური).

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** მაგისტრანტებს შეეძლებათ პრაქტიკულ სამუშაოებში - საველე არქეოლოგიურ დაზვერვებსა და გათხრებში, ასევე ექსპედიციის საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთში; მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება, მოწესრიგება, გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია, საველე გათხრების ანგარიშის შედგენაში და პუბლიკაციისათვის მომზადებაში მონაწილეობის მიღება და მუზეუმისათვის ან სპეციალური საცავისათვის მისი გადაცემა-დაბინავება. გარკვეული სამეცნიერო ნაშრომების შექმნა ხელმძღვანელის დახმარებით, ასევე კულტურული მემკვიდრეობის მართვის ჩვევების ეფექტურად და საზოგადოებისათვის სასრგებლოდ გამოყენება.

**დასკვნის გაკეთების უნარი:** მაგისტრანტს შეეძლება ხელმძღვანელის დახმარებით საკვლევი საკითხის გამოკვეთა, სხვადასხვა მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ მიღებული ფაქტების შეჯერება და მათ საფუძველზე ისტორიული მოვლენებისა და პროცესების რეკონსტრუქცია, გარდა ამისა მოპოვებული მასალის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ინტერპრეტაცია.

**კომუნიკაციის უნარი:**მაგისტრანტს შეეძლება აკადემიურ წრეში მოხსენების წაკითხვა ან გათხრების ანგარიშის წარდგენა ქართულ და უცხოურ ენებზე რეგლამენტის გათვალისწინებით, და თანამედროვე ციფრული ტექნიკის გამოყენებით; ფართო საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის პროპაგანდა და პოპულარიზაცია, ასევე საშუალო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობა.

**სწავლის უნარი:**მაგისტრანტს შეეძლება არქეოლოგიაში კონკრეტული დარგისა და პრობლემის განსაზღვრა, სწავლების პროცესის სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა და წარმართვა; ასევე იმ ექსპედიციაში მონაწილეობის მიღება, რომელიც პასუხობს მის მიერ არჩეულ სამეცნიერო თემატიკას.

**ღირებულებები:** ინდივიდუალურად შეაფასებს როგორც საკუთარ, ასევე არქეოლოგიურ მეცნიერებაში გამოთქმულ შეხედულებებს, შეაჯამებს ძირითად დებულებებს და წარადგენს მათ სხვადასხვა სახის პრეზენტაციებზე დასამკვიდრებლად. კვლევის შედეგების სამეცნიერო მიმოქცევაში შეყვანა და დამკვიდრება; დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და სასწავლო პროცესში ინოვაციური ღირებულებების შეტანა და დანერგვა.

### დასაქმების სფეროები.

საერთაშორისო და ადგილობრივი არქეოლოგიური ექსპედიციები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მუზეუმებში და არქივებში, მეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებში, ტურისტულ სააგენტოებში და სხვა.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

არქეოლოგიის მაგისტრს შესაძლებლობა ექნება სწავლა გააგრძელოს არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობით და კულტურული რესურსების მართვის მიმართულებების დოქტორანტურაში .

სწავლის შედეგების რუკა								
№	კომპონენტები	კრედიტების რაოდენობა	დარგობრივი კომპეტენციები					
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისუნარი	დასკვნისუნარი	კომუნიკაციისუნარი	სწავლისუნარი	ღირებულებები
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არქეოლოგიის საფუძვლები	5	+	+	+	+	+	+
2	საქართველოს არქეოლოგია	10	+	+	+	+	+	+
3	საველე არქეოლოგია	5	+	+	+	+	+	+
4	ძველი ბერძნული ენა	5	+	+	+	+	+	+
5	ძველი ქართული ენა	5	+	+	+	+	+	+
6	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	+	+	+	+	+	+
7	ბიბლიური არქეოლოგია	5	+	+	+	+	+	+
8	კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი	5	+	+	+	+	+	+
9	უცხოენა	10	+	+	+	+	+	+
10	კლასიკური არქეოლოგია	5	+	+	+	+	+	+
11	შუასაუკუნეების არქეოლოგია	5	+	+	+	+	+	+
12	ქართული ეპიგრაფიკა	5	+	+	+	+	+	+
13	საქართველოს არქიტექტურის ისტორია	5	+	+	+	+	+	+
14	აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები	5	+	+	+	+	+	+
15	ნუმისმატიკა	5	+	+	+	+	+	+
16	გლიპტიკა	5	+	+	+	+	+	+
17	საარქივო-სამუზეუმო საქმე	5	+	+	+	+	+	+

**სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა და მატერიალური და ფინანსური რესურსები.**

ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ყოველდღიურად იზრდება, ივსება იმ ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურით, რომელიც საჭიროა მაგისტრატურაში სწავლისა და სამაგისტრო თემების დასამუშავებლად. გარდა ამისა შუახვევის, ხულოს, ქედის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მუზეუმის ფონდებში არსებული მასალა ხელმისაწვდომია ნებისმიერი კვლევების ჩასატარებლად. მაგისტრანტები დაიშვებიან ასევე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ საველე არქეოლოგიურ სამუშაოებში.

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის აუდიტორიები /სადაც მომზადდებიან არქეოლოგიის მაგისტრანტები/ კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით /კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი.../, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახის პრაქტიკულ, თეორიულ და ინტერდისციპლინარულ მომზადებასა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას.



## ადამიანური რესურსები

1. ტარიელ ებრალიძე, ისტორიის დოქტორი, საქართველოს არქეოლოგია. საველე არქეოლოგია; საარქივო-სამუზეუმო საქმე;
2. ნარგიზ სურმანიძე, ისტორიის დოქტორი, არქეოლოგიის საფუძვლები; კლასიკური არქეოლოგია;
3. თემურ ტუნაძე, ისტორიის დოქტორი, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი;
4. ნაილა ჩელებაძე, ისტორიის დოქტორი, ნუმიზმატიკა;
5. ლაშა ასლანიშვილი, ისტორიის დოქტორი, შუა საუკუნეების არქეოლოგია; აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები;
6. ნინო ძნელაძე, ისტორიის დოქტორი, ძველი ბერძნული ენა; ბიბლიური არქეოლოგია; გლიპტიკა.
7. ნინო შუმანიძე, ხელოვნების დოქტორი, საქართველოს არქიტექტურის ისტორია;
8. მედეა რიჟვაძე, ფილოლოგიის დოქტორი, ძველი ქართული ენა;
9. თალიკო ბერიძე, ფილოლოგიის დოქტორი, ქართული ეპიგრაფიკა;
10. ზაზა კილაძე, ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს ეკლესიის ისტორია;
11. თამილა ჩურკვიძე, დოქტორანტი, უცხო ენა (ინგლისური).

## პროფესიული პრაქტიკა

განხორციელდება სამხრეთ-დასავლეთსაქართველოს შემსწავლელ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებს (პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, მაგისტრანტების ნაშრომთა, პრეზენტაციების, სამეცნიერო კონფერენციების, ექსპედიციებისა და ექსკურსიების მოწყობა) მთლიანად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

**"არქეოლოგიის" ქვემომართულებით** სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება საქართველოს საპატრიარქოსწმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ; კერძოდ, ლექციებს წაიკითხავენ: უნივერსიტეტის პროფესორები: ტარიელ ებრალიძე, ლაშა ასლანიშვილი, ნარგიზ სურმანიძე, თემურ ტუნაძე, მედეა რიჟვაძე, ზაზა კილაძე, ნინო ძნელაძე, ნინო შუმანიძე, ნაილა ჩელებაძე, თალიკო ბერიძე, თამილა ჩურკვიძე.

არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად შეიძლება მიღებულ იქნას 4-7 მაგისტრანტი.